აკადემიური პერსონალისა და სწავლების პროცესში მონაწილე სხვა პირების ეთიკის კოდექსი

მუხლი 1. ეთიკის კოდექსის ცნება და მიზნები

1.1. აკადემიური პერსონალისა და სწავლების პროცესში მონაწილე სხვა პირების ეთიკის კოდექსი (შემდგომში „ეთიკის კოდექსი“) განსაზღვრავს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების, კვლევის პერსონალის, ემერიტუსებისა, სტუმარი პროფესორების და სწავლების პროცესში მონაწილე სხვა პირების პროფესიული ქცევის წესებს.

1.2. ეთიკის კოდექსის მიზანია, დაამკვიდროს უნივერსიტეტში სწავლების პროცესში მონაწილე პირების პროფესიული ქცევის წესები, ეთიკური ღირებულებები და ვალდებულებები სტუდენტებთან ან მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, კოლეგებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობაში, რაც ემსახურება აკადემიური და პროფესიული განათლებისა და კვლევის ერთიანი სივრცის შექმნას.

1.3. ერთიანი სივრცე ემყარება სამ პრინციპს:

1.3.1. აკადემიურ თავისუფლებას;

1.3.2. სინდისის თავისუფლებას;

1.3.3. არჩევანის თავისუფლებას.

1.4. უნივერსიტეტი თავისი არსით მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატიული და ღია საზოგადოების ჩამოყალიბებაში, რისთვისაც საჭიროა ეთიკური ნორმების დაცვა.

მუხლი 2. სამართლებრივი საფუძვლები

ამ კოდექსის სამართლებრივ საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის წესდება.

მუხლი 3. ეთიკის კოდექსის პრინციპები

3.1. სწავლების პროცესი მონაწილე ყველა პირი:

3.1.1. თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით მისთვის მინიჭებული უფლებებით;

3.1.2. იზიარებს უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ღირებულებებს და იცავს ამ კოდექსით დადგენილ წესრიგს;

3.1.3. აღიარებს უნივერსიტეტის უფლებას, ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, განიხილოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ამასთან, იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება;

3.1.4. პროფესიული ვალდებულების შესრულებისას დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელია და ემორჩილება საქართველოს კანონმდებლობას და ეთიკის კოდექსის ნორმებს.

3.2. უნივერსიტეტში აკრძალულია დისკრიმინაცია რაც არის განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა ან მისთვის უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიხედვით.

3.3. უნივერსიტეტში აკრძალულია შევიწროება რაც არის ნებისმიერი ნიშნით პირის დევნა, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახავი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

3.4. უნივერსიტეტში აკრძალულია სექსუალური შევიწროება რაც არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

მუხლი 4. სწავლების და კვლევის პროცესში მონაწილე პირების ეთიკის წესები

4.1. სწავლების პროცესში მონაწილე ყველა პირისთვის შეუფერებელ და არათიკურ ქცევად ჩაითვლება:

4.1.1. სასწავლო პროცესი მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (მობილური ტელეფონით სარგებლობა ლექციის ან სემინარის ჩატარების დროს და სხვა შეუფერებელი ქმედება);

4.1.2. ნიკოტინის მისაღები ნებისმიერი საშუალების (გასახურებელი თამბაქოს, ელექტრო და წვადი სიგარეტის, სხვა)მოწევა უნივერსიტეტის შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

4.1.3. უნივერსიტეტის შენობაში (გარდა კაფეტერიისა და პირველი სართულის ფოიეში ვენდინგ მანქანებთან სივრცისა) საკვების და უალკოჰოლო სასმელის (გარდა სასმელი წყლისა) მოხმარება.

4.1.4. ალკოჰოლური სასმელის შემოტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;

4.1.5. აზარტული თამაშები;

4.1.6. უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება;

4.1.7. დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის უფლებამოსილი პირის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა;

4.1.8. ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;

4.1.9. ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის შემოტანა ან/და გავრცელება;

4.1.10. ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა ან/და გავრცელება, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;

4.1.11. უნივერსიტეტში, ან მისი ინფრასტრუქტურის, მათ შორის ელექტრონული ფოსტის ან/და უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზის გამოყენებით პირდაპირი ან/და ირიბი სახის პოლიტიკური აგიტაცია ან/და პროპაგანდა;

4.1.12. უნივერსიტეტში, ან მისი ინფრასტრუქტურის, მათ შორის ელექტრონული ფოსტის ან/და უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზის გამოყენებით პირდაპირი ან/და ირიბი სახის რელიგიური სახის აგიტაცია ან/და პროპაგანდა;

4.1.13. უნივერსიტეტის საკომუნიკაციო საშუალებების, ან პირადი საკომუნიკაციო საშუალებების უნივერსიტეტის აკადემიური მიზნებისათვის გამოყენება ამ კოდექსის ნორმების დარღვევით, ან უნივერსიტეტისათვის რეპუტაციული ზიანის მიყენების საფრთხის შემცველი ფორმით ან/და შინაარსით.

4.1.14. აკადემიური პერსონალი და სწავლების პროცესში მონაწილე ყველა პირი ვადლებულია სტუდენტის ან მესამე პირისგან მიღებული ნებისმიერი სახის მოთხოვნა არასათანადო აკადემიურ პრივილეგიაზე და ლობირებაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს უნივერისტეტის მართვის ორგანოებს. აღნიშნული ინფორმაციის შეუტყობინებლობა და ამ წესის გაუთვალისწინებლობა განიხილება უნივერსიტეტსა და დასაქმებულს შორის შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევად.

4.1.15. აკადემიური პერსონალი და სწავლების პროცესში მონაწილე ყველა პირი ვალდებულია სტუდენტთან ყველა სახის ურთიერთობა, რომელიც სცილდება საგანმანათლებლო, კვლევით ან აკადემიურ ურთიერთობას და გადადის პირადი სახის ურთიერთობაში დეკლარირებულ უნდა იქნეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. აღნიშნული ინფორმაციის შეუტყობინებლობა და ამ წესის გაუთვალისწინებლობა განიხილება უნივერსიტეტსა და დასაქმებულს შორის შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევად.

4.1.16. აკადემიური პერსონალი და სწავლების პროცესში მონაწილე ყველა პირი ვალდებულია, თუ მათთვის ცნობილი ხდება სტუდენტის ეთიკის კოდექსის მე- 5 მუხლის 5.1. პუნქტის 5.1.1 ქვეპუნქტთან (აკადემიური თაღლითობა) და 5.1.2 ქვეპუნქტთან (პლაგიატი) დაკავშირებული ეთიკის კოდექსით დადგენილი წესების დარღვევის სავარაუდო ფაქტი, ან გარემოებები, რომელიც ასეთი დარღვევის ალბათობაზე მიუთითებს, დაუყოვნებლივ შეატყობინოს

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას. აღნიშნული ინფორმაციის შეუტყობინებლობა შეიძლება განხილული იყოს ამ კოდექსის ნორმების დარღვევად და, შესაბამისად, უნივერსიტეტსა და დასაქმებულს შორის შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობის დარღვევად, რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიიღოს შრომითი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის გადაწყვეტილება.

4.1.17. აკადემიური პერსონალი და სწავლების პროცესში მონაწილე ყველა პირი ვადლებულია ინფორმაცია დისკრიმინაციის ფორმების არსებობის შესახებ, დაუყოვნებლივ შეატყობინოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას. აღნიშნული ინფორმაციის შეუტყობინებლობა შეიძლება განხილული იყოს ამ კოდექსის ნორმების დარღვევად და, შესაბამისად, უნივერსიტეტსა და დასაქმებულს შორის შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობის დარღვევად, რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიიღოს შრომითი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის გადაწყვეტილება.

4.1.18. სხვა ნებისმიერი სახის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ეთიკის ნორმებს და ხელს შეუშლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას.

4.2. სასწავლო პროცესში მონაწილე პირი:

4.2.1. ვალდებულია არ დააგვიანოს ან/და არ გააცდინოს არასაპატიო მიზეზით ლექციები და სხვა სახის სასწავლო ღონისძიებები, საუნივერსიტეტო პრეზენტაციები და ცერემონიები, ხოლო საპატიო მიზეზის არსებობისას უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი წესების დაცვით გააფრთხილოს შესაბამისი დეკანი/პროგრამის კოორდინატორი დაგვიანებისა ან/და გაცდენის შესახებ;

4.2.2. იცავს კონფიდენციალობას სტუდენტების, კოლეგების თუ სწავლების პროცესში ჩართული პირების შესახებ, თუ ინფორმაციის გამჟღავნება იურიდიულად არ არის აუცილებელი;

4.2.3. თავისი საქმიანობისას ყოველთვის პუნქტუალურია და მოწესრიგებულია;

4.2.4. მაქსიმალურად ეფექტურად, მხოლოდ სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად იყენებს სწავლებისთვის განკუთვნილ დროს;

4.2.5. უფრთხილდება უნივერსიტეტის ქონებას და მიზანმიმართულად იყენებს მის რესურსებს;

4.2.6. არ აყენებს სტუდენტს ან კოლეგებს სიტყვიერ, ფიზიკურ, თუ სხვა სახის შეურცხყოფას;

4.2.7. იჩენს თანაბარ ყურადღებასა და მზრუნველობას ყველა სტუდენტის მიმართ განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, გენდერული, ენობრივი, თუ მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა;

4.2.8. ვალდებულია, თავი შეიკავოს სტუდენტების თანდასწრები კოლეგების გაკიცხვისგან;

4.2.9. არ უტარებს საკუთარ სტუდენტს კერძო გაკვეთილის ანაზღაურების სანაცვლოდ და სტუდენტის შეფასებისას არის ობიექტური და მიუკერძოებელი;

4.2.10. არ იღებს სტუდენტისაგან საჩუქარს ან სხვა სახის სარგებელს სტუდენტის მაღალი შეფასების, თუ მისთვის უპირატესობის მინიჭების (ლობირების) სანაცვლოდ.

4.3. სამეცნიერო კვლევა უნდა ტარდებოდეს ეთიკის სტანდარტების დაცვით, კერძოდ:

4.3.1. სამეცნიერო კვლევა უნდა შემუშავდეს, განხილულ იქნეს და განხორციელდეს კეთილსინდისიერად, ხარისხის და გამჭვირვალობის დაცვით;

4.3.2. მკვლევარები და ის პირები, რომლებიც მონაწილეობენ კვლევაში, სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი კვლევის მიზნების, მეთოდების და კვლევის შედეგების შესაძლო გამოყენების შესახებ, ასევე შესაძლო რისკების თაობაზე, თუკი ასეთი არსებობს;

4.3.3. დაცული უნდა იყოს იმ ინფორმაციის კოფიდენციალურობა, რომელსაც ფლობენ კვლევის მონაწილეები, და ასევე, რესპოდენტების ანონიმურობა. პირები ნებაყოფლობით უნდა იღებდნენ მონაწილეობას კვლევაში, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. კვლევის მონაწილეებს არ უნდა მიადგეთ ზიანი;

4.3.4. კვლევის დამოუკიდებლობა უნდა ჩანდეს ცხადად და გამორიცხულ იქნას ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტი და მიკერძოებულობა.

მუხლი 5. აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესები

5.1. სწავლების პროცესში მონაწილე პირის მოვალეობაა:

5.1.1. გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის რეპუტაციასა და პრესტიჟს;

5.1.2. იცნობდეს და იცავდეს უნივერსიტეტისათვის მისაღებ აკადემიური წერის სტილს (ბიბლიოგრაფიული მონაცემების გაფორმება, ციტირების სტილი და ა.შ.).

მუხლი 6. პასუხისმგებლობა ეთიკის ნორმების დარღვევისთვის

6.1. უნივერსიტეტი ვალდებულია, მონიტორინგი გაუწიოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის ეთიკურობას და აკადემიური პერსონალის ქცევის საერთო წესების ყველა გამოვლენილ დარღვევაზე დროული რეაგირება მოახდინოს;

6.2. ეთიკის კოდექსის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, დარღვევის აღმომჩენი პირი, რექტორს მიმართავს მოხსენებითი ბარათით ან განცხადებით, რომლის საფუძველზეც რექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე იწყება ადმინისტრაციული წარმოება, რაც ფორმდება შესაბამისი ბრძანებით. ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდგომ გამოიცემა ბრძანება, რომელშიც აისახება წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, უნივერსიტეტის შინაგანაწესით განსაზღვრული შესაბამისი დისციპლინური ზომის გამოყენების ან არ გამოყენების შესახებ.

6.3. აკადემიური სიყალბის (პლაგიატის) აღმოჩენის შემთხვევაში:

6.3.1. განმცხადებელი მიმართავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც შესაბამის დეკანთან/პროგრამის კოორდინატორთან ერთად კონფიდენციალურად განიხილავს დაფიქსირებულ დარღვევას. ეჭვის საფუძვლიანობის დადასტურების შემთხვევაში, რექტორის მიერ იქმნება კომისია, რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტებით, როგორც უნივერსიტეტის პერსონალისგან (თუკი არსებობს ინტერესთა კონფლიქტი), ასევე გარეშე პირებისგან;

6.3.2 კომისია შეიმუშავებს საქმის წარმოების პროცედურასა და ვადებს და საქმეში გარკვევის შემდეგ გამოიტანს შესაბამის დასკვნას. კომისიის მუშაობა უნდა იყოს კონფიდენციალური და პლაგიატის დადასტურებამდე ზიანი არ უნდა მიაყენოს მეცნიერის პრესტიჟს;

6.3.3. კომისია ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე;

6.3.4. კომისიის დასკვნის შესახებ ეცნობება ეთიკის კოდექსის მოთხოვნის დამრღვევ პირს (შემდგომში - დამრღვევი), ასევე საქმესთან დაკავშირებულ სხვა პირებს;

6.3.5. დამრღვევ პირს შესაძლებლობა ეძლევა, საპასუხო სიტყვით წარსდგეს კომისიის წინაშე. იმ შემთხვევაში, თუ დარღვევის ფაქტი არ დადასტურდება, უნივერსიტეტის რექტორი და კომისია იზრუნებს პირის სამეცნერო და პედაგოგიური რეპუტაციის აღსადგენად;

6.3.6. დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, დამრღვევი პირის მიმართ შეიძლება განისაზღვროს შემდეგი სანქციები:

6.3.6.1. მიეცეს გაფრთხილება;

6.3.6.2. ავტორის ყველა სტატია გამოწვეულ იქნეს და შემოწმდეს პლაგიატის ან ფალსიფიკაციის თვალსაზრისით;

6.3.6.2. დაწესდეს სპეციალური მონიტორინგი მომავალ საქმიანობაზე;

6.3.6.3. შეუწყდეს შრომითი კონტრაქტი;

6.3.6.4. გათავისუფლდეს აკადემიური თანამდებობიდან;

6.3.7. თუ პლაგიატის შემთხვევა დაფიქსირდა უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულში, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან ერთად უნდა უნდა განიხილოს დარღვევის საფუძვლიანობა;

6.3.8. ეჭვის საფუძვლიანობის დადასტურების შემთხვევაში, იქმნება კომისია, რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტებით, როგორც უნივერსიტეტის პერსონალიდან (თუკი არსებობს ინტერესტთა კონფლიქტი), ასევე გარეშე პირებისგან. საკითხის განხილვა ამ შემთხვევაშიც ექვემდებარება ამ მუხლის წესებს.